ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი

15.04.2024 წელი

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, რეზო კვერენჩხილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსი **ია ჩხაიძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა **ია ჩხაიძემ** და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის 04-302409674 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საგრანტო კონკურსში

„შემოქმედებითი კომპასი საქართველო“, რომელიც ხორციელდება გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით. საგრანტო კონკურსის თემა ეხება, ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვას ჩვენს მუნიციპალიტეტში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილი საკონკურსო, საგრანტო განაცხადი, დადებითად შეფასდა - „შემოქმედებითი კომპასი საქართველოს“ გუნდის მიერ და შერჩეული არის დაფინანსებისათვის. გოეთეს ინსტიტუტსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად განსაზღვრულია ვადა, რომელიც უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის 18 აპრილამდე.

ია ჩხაიძემ აგრეთვე განმარტა, რომ პროექტში სულ 62 მუნიციპალიტეტი იღებდა მონაწილეობას და პირველ ტურში გავიდა 35 მუნიციპალიტეტი. მისი თქმით, ეს გამოიწვევს ბიუჯეტის ზრდას და გაკეთდება ძალიან კარგი საქმე - გაჩნდება კარგი კულტურული კერა მუნიციპალიტეტში.

პროექტი შედგება 3 ეტაპისგან. პირველი ეტაპი არის ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის რუკის შედგენა. მეორე ეტაპზე გრანტის ოდენობა განისაზღვრება 8000 ევროს ოდენობით და უკვე შერჩეული ლოკაციიდან მოხდება დასაბუთება, თუ როგორ განვითარდება სამომავლოდ ეს პროექტი, ხოლო ფინალში საბოლოოდ გავა 8 მუნიციპალიტეტი, რის შემდეგაც უკვე დაიწყება კულტურული ინდუსტრიის გაკეთება, რომელსაც მთლიანად ევროკავშირი და გოეთეს ინსტიტუტი დააფინანსებს. მისი აზრით, კარგი იდეაა ედუარდ შევარდნაძის სახლ-მუზეუმის მოწყობა.

ია ჩხაიძემ განაცხადა, რომ გერმანიის სახელმწიფოსთან არის გაფორმებული ხელშეკრულება, რაც არის გიზის პროგრამა და მხოლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობაა საჭირო პროექტის განსახორციელებლად და არ სჭირდება მთავრობის ნებართვა.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქში არსებული ყველა ის შენობა-ნაგებობა, რომელიც არის ამორტიზებული და იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში, არის აღნუსხული და მათ ეს შეუძლიათ მიაწოდონ კომისიას.

ია ჩხაიძემ აგრეთვე განაცხადა, რომ 12 მაისიდან გაიმართება ევროკავშირის დღეები საქართველოში. თბილისში იგეგმება მასშტაბური ღონისძიება და ევროკავშირის ინსტიტუტს სურს, რომ პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტებმა ღონისძიებაზე წარმოადგინონ 3 ფოტო, რაზეც აღბეჭდილი იქნება მათი კულტურული მემკვიდრეობა, საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა და უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით გადაწყდება თუ რომელი ლოკაციის 3 ფოტო შეირჩევა. საბოლოო ჯამში კი როცა დასრულდება პროექტი, ერთი ფოტო ევროკავშირის პორტალზე აიტვირთება.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №4 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 15.04.2024 წ.

2024 წლის 15 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 16 აპრილის რიგგარეშე სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

15.04.2024 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15^55	
2. ნინო მშვიდობაძე	15:00	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15:57	
4. ლოლიტა ურუშაძე	15^55	
5. კარლო წილოსანი	15^56	
6. ირმა მგელაძე	ახ ესწრებოდა	
7. მაკა მშვიდობაძე	ახ ესწრებოდა	
8. გოჩა ჯანაშია	ახ ესწრებოდა	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	15^55	
10. ელისო ჭიჭინაძე	ახ ესწრებოდა	